წელიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

პარასკევი, 10 ივნისი

სამშობლო

№ 376

გაზეთის ფასი:
წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი
ხუთშაბათიდან, 9 ივნისიდან ახალი პროგრამა.
პატე ჟურნალი № 344. მიმდინარე ამბები.
სიყვარული ძლიერია არა მარტო ხვევნა-კოცნით
ძლიერი დრამა 4 ნაწ. მუზჟუხინის, ლისენკოს, ორლოვისა და ჰანოვის მონაწილეობით.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი
ხუთშაბათიდან, 9 ივნისიდან ახალი პროგრამა.
გომონის ქრონიკა 40 ბ. მიმდინარე ამბები.
სიკვდილზე უძლიერესი.
პსიხოლოგიური დრამა 2 ნაწ. რუტცისა და მ. ნ. წერეთლის მონაწილეობით.
კაცი უღიმოთ. კომედია 2 ნაწ. არკ. ავერჩენკოს მოთხრობიდან, ვერნერისა და მასინის მონაწილეობით.

ადგილების ფასი „**ამპირსა**“ და „**რადიუმში**“; ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ. 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

ვენახის საწამლათ.
იყიდება ცნობილი ქაკმენის სითხე, რომელიც ვაზს იცავს შემდეგ სნეულებისაგან: მილდიუმიდან, იოდიუმიდან და სხვადასხვა მავნე მწერისაგან. ამ სითხით წამლობენ შვიდი წლის განმავლობაში და ნაყოფიც დიდია.
წამლობისათვის საჭიროა კოლოფი (ფხვნილი) „**ტრინდენისა**“. იყიდება აგრეთვე პულვერიზატორი და სამარგელი მანქანა ვენახებისათვის.
მისამართი: სავაჭრო სახლი „კლდეგურული“ ქუთაისი, კახიანოური. თვ.

კვირას, 12 ივნისს, დღის 12 საათზე, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში დანიშნულია „სინათლის“ საზოგადოების წევრთა

საზოგადო კრება.

კრების წესრიგი: 1) კრების თავჯდომარისა და მდივნის არჩევა; 2) შემოსავალ-გასავლის ანგარიში და მოხსენება საზოგადოებისა და სასწავლებლების შემოქმედების შესახებ; 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 4) მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა; 5) მოხსენება წესდების რამდენიმე მუხლის შეცვლის შესახებ; 6) მოხსენება ადგილის შეძენის შესახებ; 7) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა ნაცვლად იმ პირთა, რომელთაც წესდების მიხედვით სამსახურის ვადა უთავდებათ.

განცხადება
კოოპერატივების საყურადღებოთ
დათიკო ქებაძის სავაჭროში მიღებულია დიდძალი ლამპის შუშა № 11, 8, 5. და იყიდება ზომიერ ფასებში. 5—1

განცხადება
აფთიაქების საყურადღებოთ
დათიკო ქებაძის სავაჭროში მიღებულია: საფაღარათო ზეთი (სლაბიტელი), ინგლისური მარილი (ანგლისკ სოლ), სასმელი სოდა და გლიცერინა. 5—1

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **ბოკერიძის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. სად. საათ 6-3 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ექიმი ი. **ჩარკვიანი** ქალაქ. სავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით, 12½— საათ. სად. 6—8 საათ.
მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ექიმი ა. მ. **ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვევს მინერალურ წყლებას ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

ექიმი მულინი. ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

დოქტორი მედიცინისა
პრივატდოცენტი
ვ. პ. მოსეშვილი
მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8სათ.
2 თბილისის ქუჩა № 6 თ.

გამოცდილი მასწავლებელი
სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწვდომ ფასებში.
მისამართი: გაზ „**სამშობლოს**“ რედაქც.

მსოფლიო ომი.

დეპეშები.

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.

დასავლეთის ასპარეზზე.

პეტროგრადი. 8 ივნისი. გოდომიჩის (სტირზეა) ჩრდილოეთით ძლიერი ბრძოლები გრძელდება. სოფ. გრუზიატინი რამდენჯერმე ხელიდან ხელში გადადიოდა. გუშინ ჩვენი ჯარი შეიჭრა ამ სოფელში და დაატყვევა 11 აფიცერი და 400 ჯარის კაცი. იხელთა 6 ტყვისმფრქვეველი. მოპირდაპირის გრიგალისებურმა ცეცხლმა ჩვენ ჯვაიძულა დაგვეცალა ეს სოფელი. მძიმე და მსუბუქი არტილერიის ძლიერი ცეცხლის შემწეობით სოფ. ვორონჩოკთან კისელიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელებს გაფთრებული იერიშები მოჰქონდათ. ჩვენმა ახალგაზდათა პოლკებმა 7 ივნისს გერმანელები გააქციეს, დაატყვევეს სხვა და სხვა პოლკის ჯარისკაცები და ხელთ იგდეს 9 ტყვისმფრქვეველი. სოფ. რაიმესტოს მიდამოებში გუშინ 3 საათზე დასვენების დროს მტრის ჯარმა შემოგვიტია, გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. გერმანელებმა ვერ გაგვიძლეს და გაიქცნენ. ჩვენ დაგვრჩა დაჭრილი ტყვეები, რომელთა რიცხვიც ჯერ გამორკვეული არ არის. კისელინის მიდამოებში მედგარი ბრძოლები სწარმოებს. ჩვენს განაპირა მარცხენა ფრთაზე ჩვენმა ჯარმა სდევნა მტერი და მდ სერეტი გადალახა. გენ ბრუსილოვის ჯარს 22 მაისიდან 3 ივნისამდე ხელთ უგდია სულ ტყვე 3350 აფიცერი და 169134 ჯარისკაცი, დავლად, 198 ზარბაზანი, 550 ტყვიისმფრქვეველი, 189 ყუმბარის მტყორცნელი და ნაღმის მტყორცნელი, 119 იარაღის ყუთი 34 პროჟექტორი და მრავალი სხვა სამხედრო მასალა. 4—8 ივნისამდე ხელში ჩაგდებულ ტყვეთა რიცხვისა და დავლის რაოდენობის გამორკვევა ეხლა სწარმოებს. მდ. დვინის პირზე იკსკულის გამაგრებულ ხიდის საფართან და იაკობშტადტის ჩრდილოეთით გერმანელთა არტილერია მძლავრად მოქმედებდა. სმორგანის სამხრეთით 7 ივნისის ღამეს ჯერ მძლავრად დაუშინეს ჩვენ სიმაგრეებს და შემდეგ იერიშით წამოვიდენ. ერთ ადგილას ისის იყო შემოიჭრნენ ჩვენს თხრილებში, მაგრამ არტილერიის შემწეობით მივიტანეთ კონტრიერიში და განვდევნეთ. ამ მიდამოების სხვა ნაწილში მოვიგერიეთ მტერი, ზოგგან კონტრიერიშით და ზოგან კი არტილერიის ცეცხლით.

ვილეიკას სადგურზე მტრის ჰაეროპლანებმა ჩამოყარეს 40 ყუმბარა. ოგინის არხზე რამდენიმე შეტაკება მოხდა. ორივე არტილერია მძლავრად მოქმედებდა.

კავკასიის ასპარეზზე.

დიარბექირის მიმართულებით ჩვენმა ჩასაფრებულმა მზვერავებმა მოდარაჯე რაზმის გამოსაცვლელად მიმავალი ოსმალონი დახოცეს. მოსულის მიმართულებით რევანდუზის მიდამოებში, ქართველთაგან შემდგარ რაზმს ბრძოლა ჰქონდა მრავალრიცხოვან ქურთებთან, რომელთაც მრავალი დახოცილი დასტოვეს და გაიქცენ. ბაღდადის მიმართულებით ერთბაშად ყაზახები დაეცნენ ოსმალთ და განდევნეს კოლაი შახინის მიდამოებიდან.

რომი. 7 ივნისი. მთავარი ბინის ცნობა. კიეზოზე, ჯენოვა-სარკვიშე-დონეს ღელეს შესავალში და მონტე ჯოვეს მიმართულებით პოზინოს ღელეში ავსტრიელთა უმნიშვნელო იერიშები იტალიელებმა მოიგერიეს. სტეკომუნის ვაკე გორაკზე აზიაგოს ჩრდილო-აღმოსავლეთით ცხოველი ბრძოლა სწარმოებდა. იტალიელებმა მოიგერიეს ავსტრიელების კონტრიერიშები და დაატყვევეს 200 კაცი. ზემო ბოლტზე 6 ივნისს ავსტრიელებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში იტალიელების პოზიციებზე, მაგრამ მოგერებულ იქნენ დიდი ზარალით. რიენცის ღელეში იტალიელების არტილერია უშენდა სად. ტობლოხს დონდოს გზაზე. კარნიაზე და იზონცოზე საარტილერიო ბრძოლა.

პარიზი. 8 ივნისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. მთელ ბრძოლის პირზე არაფერი შესანიშნავი არ მომხდარა, გარდა არტილერიის ცხოველი ბრძოლისა ფორტ ვოს სამხრეთით.

ჰავრი. 8 ივნისი ბელგეთის ოფიციალური ცნობა. სტეენტრატეს მიდამოებში საარტილერიო ბრძოლაა. ბრძოლა ხელის ყუმბარებით სწარმოებს. ბრძოლის პირის დანარჩენ ნაწილში სიწყნარეა.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

— —

რუმინიაში დიდი ამბებია მოსალოდნელი. გერმანოფილთა პარტია რუმინიის მთავრობას უმოქმედობაში ამტყუნებს, რომ მან რუმინიის მიწა-წყალზე შემოჭრილ რუსის ჯარს იარაღი არ აჰყარა. შეთანხმების სახელმწიფოს მომხრენი კი ფრანგოფილურ გაზეთებში წერილებს ბეჭდვენ, სადაც გენერალ ბრუსილოვს ადიდებენ და მას ტრანსილვანიის მომავალ განმათავისუფლებელს უწოდებენ.

— —

ნეიტრალურ სახელმწიფოთა გაზეთები რუსის მხედრობას დიდის ქებით იხსენიებენ და აღნიშნენ, რომ ამჟამად რუსის ჯარში სრული რეორგანიზაცია მოუხდენიათო.

— —

აღმოსავლეთის ფრონტზე კოევისკენ და ხერსონისკენ მომავალი გზები რუსებმა დაიჭირეს.

— —

პეჩევის საყდარი ავსტრიელებს კინემატოგრაფად გადაუკეთებიათ. ეს საყდარი რუსებმა 1698 წ. ააშენეს.

— —

„მატენი“ სწერს: ამ ბოლო დროს ავსტრიის ჯარში ძალზე შემცირდა მზვერავთა რაზმის რიცხვი. რაზმის შემცირება აიხსნება რუსების მიერ ურიცხვი ტყვე ავსტრიელ მზვერავების წამოყვანით.

— —

გენერალ ბრუსილოვის ჯარი წინსვლას განაგრძობს.

— —

ბოჰემიის კორპუსები, ვილჰელმის ბრძანებით, გალიციის ფრონტისკენ გაუგზავნიათ.

— —

გალიციის ასპარეზზე ამინდები კარგი ყოფილა შეთანხმების პრესა ეხება გალიციის ასპარეზს და, სხვათა შორის, სწერს: ადვილი მოსალოდნელია, რომ გერმანიისა და ავსტრიის ჯარები რუსებმა ორ ნაწილად გაჰყონ და ერთმანეთს მოსწყვიტონო.

— —

დვინსკთან მძაფრი საპოზიციო ბრძოლაა. აქ მტრისა და რუსების პოზიციები ერთმანეთზე 100—50 ფეხის ნაბიჯით არის დაშორებული.

— —

საბერძნეთის სანაპიროების ალყა თანდათან საშინლად მკაცრ ხასიათს ღებულობს. ბევრი სანაპირო ადგილის მცხოვრებნი შიშით აიყარნენ და გაიქცენ.

— —

საბერძნეთში ხალხის არეულობას მოელიან.

— —

რიგის ფრონტზე ბევრ ადგას მოიერიშე მტერი უკუაგდეს.

— —

ვერდენის ფრონტზე მოჰკლეს გაზეთ „მატენის“ რედაქტორი ედმანი. ედმანი „მატენში“ რედაქტორობდა საგარეო პოლიტიკას. მებრძოლ ჯარში იგი მოხალისედ იყო და პოდპორუჩიკის ჩინი მიიღო.

— —

ვერდენის ფრონტზე გერმანელები დიდ ყურადღებას აქცევენ შატანკურის რაიონს ამ რაიონში შეტევას ანვითარებენ.

— —

ვარდარის მიმართულებით ფრანგების ჰაეროპლანებმა სტრუმიცას ყუმბარები დაუშინეს.

— —

გერმანიამ უარი სთქვა იპონიასთან მოლაპარაკების დაწყებაზე.

— —

ჩინეთის არეულობა ცოტათი დაცხრა. ამერიკელი კორესპონდენტი იტყობინება, იაპონიის გადაუწყვეტია შუაკაცობა გასწიოს, მეამბოხე პროვინციების მოსარიგებლედ.

— —

გერმანელი აგიტატორები ბრაზილიაშიც გაჩენილან. აგიტატორებს აქ უკვე გაუჩენიათ საჭირო მომხრე პირები და თავისუფალ მოქმედებას ეწევიან. შეთანხმების სახელმწიფოებს გადაუწყვეტიათ ბრაზილიიდან გერმანელი აგიტატორების ძალით განდევნა.

— —

შეთანხმების პრესა აღნიშნავს, რომ ინგლის-რუსეთ საფრანგეთის საქმე ამ ჟამად ბრწყინვალე არის. ჯარების ახალის წესით დალაგება და სასროლი მასალის დამზადების საქმე უკვე დამთავრებულად უნ და ჩაითვალოსო. შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარებს ეხლა შეუძლიათ საერთოდ იერიშები მიიტანოს მტერზეო.

— —

გერმანიის მუშებში თანდათან ძლიერდება მშვიდობიანობის მომხრეთა რიცხვი. მუშები ხშირად ქუჩებში დიდ მიტინგებს ჰმართვენ და გერმანიის იუნკრობას ჰკიცხავენ.

— —

რუმინიის მთავრობამ გადასწყვიტა ბუკოვინის საზღვარზე ახალი ჯარი გამოგზავნოს.

— —

ინგლისის ჰაეროპლანები გიულბაჩხეს უშენენ. გიულბაჩხეს მიდამოებში 6,000 ავსტრიელია დაბანაკებული.

— —

ბულგარეთ-რუმინიის საზღვრები კვლავ დაკეტილია. ფოსტა ბულგარეთში უნგრეთით მიდის. ამბობენ, ბულგარეთ-რუმინიის საზღვრები ჯერ კიდევ კარგა ხანს იქნება დაკეტილიო. საზღვრების დაკეტვას ბულგარეთის ჯარის საიდუმლო გადაყვან-გადმოყვანით ხსნიან.

— —

საბერძნეთის მეფეს გადაუწყვეტია მთელ სამეფოში საალყო წესები გამოაცხადოს. ასეთ ზომას ცუდის თვალით შეხედვენ „მფარველი“ იმპერიები და, როგორც „ტაიმსი“ სწერს, თავის ფლოტს მოქმედებსო.

სამხედრო მიმოხილვა

წინააღმდეგობა.

გალიციის ბრძოლამ ამ ორ უკანასკნელ დღეს ახალი სახე მიიღო.

რუსების წინსვლა ისე დაჟინებით აღარ სწარმოებს და ყოველდღე ბრძოლა ისეთი ნაყოფიერი აღარ არის, როგორც ეს ბრძოლის დასაწყისში იყო. ეხლა ბრძოლამ ადგილობრივი ხასიათი მიიღო და ფართო მოძრაობას ჯარისას ადგილი აღარა აქვს. საქმე იქამდე მივიდა, რომ სოფ. გრუზიატინი რამდენჯერმე ხელიდან ხელშიც კი გადადიოდა.

ბრძოლის პირის სხვა ნაწილებში გერმანელებსა და ავსტრიელებს თვითონ მიაქვთ ეხლა იერიშები და ზოგ ადგილას კი რუსთა პოზიციებსაც უშენენ. ამნაირად მოწინააღმდეგის მოქმედება სრულიადაც

ომის დღიური.

აღმოსავლეთის ასპარეზი. ძლიერი ბრძოლები გოდომიჩთან სტირზე კვლავ გრძელდება. სოფ. გრუზიატინი ხელიდან ხელში გადადიოდა. ამ სოფლიდან რუსებმა წამოიყვანეს ტყვეთ 11 აფიცერი და 400 ჯარის კაცი. კისელინის ჩრდილო-აღმოსავლეთით არტილერიის გრიგალისებური ცეცხლის შემწეობით იერიშები მიიტანეს რუსებზე. რუსებმა კონტრიერიშით წაართვეს 9 ტყვიისმფრქვეველი და ტყვეები წამოიყვანეს. კისელინის სამხრეთით ძლიერი ბრძოლებია. რუსებმა გადალახეს მდ. სერეტი. მდ. დვინაზე იკესკულთან და იაკობშტადტთან გერმანელთა არტილერია მედგრად უშენდა რუსთა პოზიციებს. არტილერიის ძლიერი ცეცხლის დახმარებით გერმანელებმა შეუტიეს სმორგონის სამხრეთით და რამდენიმე ხნით შეიჭრენ კიდეც რუსების თხრილებში. სად ვილეიკაში გერმანელთა მფრინავებმა 40 ყუმბარა ჩამოჰყარეს.

კავკასიის ასპარეზი. დიარბექირის მიმართულებით რუსის მზვერავებმა ოსმალთა ერთი რაზმი დახოცეს. მოსულის მიმართულებით რევანდუზთან ქართველთაგან შემდგარ რაზმს ქურთთა ძლიერ ბრბოსთან ბრძოლის დროს დიდი ზარალი მიუყენებია მისთვის და გაუდევნია

იტალიის ასპარეზი კიეზოსა და პოზინოს ღელეში იტალიელებმა მოიგერიეს ავსტრიელთა იერიშები. იტალიელებმა ტყვეთ ჩაიგდეს 200 კაცი ზემო ბოიტეზე ავსტრიელებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში.

ვერდენთან მაასის მარჯვენა ნაპირზე ფორტ ვოს სამხრეთით საარტილერიო ბრძოლაა ბრძოლის პირის დანარჩენ ნაწილში შესანიშნავი არაფერი მომხდარა. ბელგიის ჯარის ბრძოლის პირზე სტეენსტრატეს მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა იყო. ბრძოლა აგრეთვე ხელით სასროლ ყუმბარებით ხდებოდა.

არ ჩაითვლება საარიერგარდო ბრძოლად ეხლა იერიშები მოაქვთ მძიმე არტილერიის დახმარებით; მაშასადამე, ავსტრიელების სურვილია მკვიდრად ფეხი მოიკიდონ და რუსებს წაართვან წინსვლის საშუალება.

ეს არის მარტოდმარტო მათი მიზანი.

ფიქრი იმის შესახებ, ვითომ მათ სურდათ თავისი მხრით ფართოდ შემოტევა გადამეტებული იქნებოდა, ვინაიდან სხვა ასპარეზებზე დამყარებული მდგომარეობა მათ ამის ნებას არ აძლევს.

მიუღებელია აგრეთვე ის აზრიც, ვითომც ავსტრიელებს სხვა ბრძოლის ასპარეზიდან გადმოეყვანოს ჯარი, როგორც ეს სჯერა ზოგ მიმომხილველს. ამ შემთხვევაში ისინი ემყარებიან ავსტრიელთა მთავარ შტაბის ცნობაში მოყვანილ სიტყვებს:

„ჩვენ შევაჩერეთ რუსების წინსვლა იტალიის ასპარეზიდან გადმოყვანილი ჯარის შემწეობითაო“.

მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, ეს რომ მართალი ყოფილიყო, ავსტრიის შტაბის სიტყვები საიდუმლოს გაცემა იქნებოდა.

სწორედ ის გარემოება, რომ ავსტრიელებმა ეს ცნობა გამოუშვეს მაჩვენებელია იმისა, რომ მას სურდა შემცდარი ცნობები ჰქონოდათ მათ მოწინააღმდეგეებს, გალიციის ჯართა რაოდენობისა.

რომ ავსტრიელებს არ გადმოუყვანიათ იტალიიდან ჯარი, ამის მოწმობს იტალიის მთავარ ბინის გუშინწინდელი ცნობა: „როგორც ირკვევა, თავის გეგმის სისრულეში მოყვანაზე და ჩვენს შემოტევაზე ავსტრიელებს ხელი არ აუღიათო“.

მაშასადამე, ავსტრიელები გალიციაში ერთ ალაგას გამაგრებას სცდილობენ ადგილობრივი ძალებით, რეზერვების დახმარებით და გერმანელთა შემწეობით, რომელნიც ახმაურდენ ამ ბოლო დროს პოლესიეს ჩრდილოეთით და ზოგ ალაგას „მძიმე და მსუბუქ არტილერიის ქარიშხალისებურ ცეცხლს ანვითარებენ რუსთა პოზიციების წინააღმდეგ.

შვერული.

სახელმწიფო სათათბირო.

7 ივნისის სხდომა

თავმჯდომარეობს როძიანკო.

ირჩევა კანონპროექტი გლეხთა უფლებრივად გათანასწორების შესახებ. ლაპარაკობს ვიშნევსკი პირველი ორატორის აზრით, გლეხთა გათანასწორების კანონპროექტი ძალიან დაკვირვებით უნდა იყოს განხილული. გლეხს უნდა მიეცეს ის, რაც მას ესაჭიროება ვიშნევსკი დაწვრილებით ეხება კანონპროექტის თითოეულ მუხლს, აღნიშნავს გლეხთა მოხელეების ძალა-უფლებას, ეხება სოფლის საზოგადოებათა უფლებებს, მიწისმფლობელობას და ის დასკვნა გამოყავს, რომ გლეხს არ შეუძლია თავისი მიწით ისარგებლოს ისე, როგორც მას სურს. ამის დასამტკიცებლად ორატორს მოყავს საპოლიციო გლეხები, რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ უფლება მიწის თავისუფლად სარგებლობისა და ამბობს, უკანასკნელთ მხოლოდ მცირე ნაწილიღა დარჩათ მიწებისა, დანარჩენი გაყიდეს და დუქნებში შეჭამესო.

— ეს ზრის ახლახან მოვედი ტრაპიზონიდან, ამბობს ორატორი, და ოსმალთა ბატონობის ქვეშ მცხოვრებლების მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე კარპატებში მცხოვრებ გლეხებისა, რომელნიც ყოვლად დამამცირებელ დამოკიდებულობაში არიან ებრაელების ბატონობის ქვეშ.

ორატორი აცხადებს, რომ ჩხენკელი შეცდომით გვარწმუნებს ჩვენ, ვითომც გლეხები თავის წრეში ებრაელებს სიხარულით იღებენ. ვიშნევსკი წინააღმდეგია კანონპროექტის შეცვლის.

პოსტნიკოვი აღნიშნავს პროექტის ისტორიას და ამბობს, რომ პროექტი ათი წელიწადია, რაც სათათბიროს არქივში უძრავად ძევს და განხორციელება არ ეღირსა. ორატორს უკვირს მინისტრის ამხანაგის განცხადება, რომ ჯერჯერობით დრო არის პროექტის განხილვისაო ვინც ამას ლაპარაკობს, ამბობს ორატორი, იმას ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ცხოვრების მაჯის ცემა (ტაში მარცხნივ). ეხება რა პროექტის ისტორიას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თვით სტალიპინის ძლიერმა მთავრობამ ვერ გადასჭრა გლეხთა უფლებრივი საკითხიო პოსტნიკოვი სათათბიროს კომისიის მუშაობაში დიად ღვაწლს ხედავს, რომელმა კომისიამაც, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, 5 ეკენისთვის თარიღით გამოცემული უმაღლესი ბრძანება, გააფართოვა და გამოიყვანა უსაჭიროესი დასკვნები გლეხთა უფლებების შესახებ, კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გლეხთა საზოგადოებების მოწყობასო. ორატორის აზრით, კანონპროექტი საბოლოოდ ვერ სწყვეტს გლეხთა საკითხს და არც სასამართლოს კომისიის შესწორებანი მიაჩნია საკმარისად, ვინაიდან ამ შესწორებათა მიღების შემდეგაც გლეხთა მდგომარეობა ისევ უუფლებო იქნება და ისინი კვლავ მეორე ხარისხოვან მოქალაქეებად დარჩებიანო და თუ ჩვენ გვინდა გლეხებს სწორუფლებიანობა მიენიჭოსთ, საჭიროა სახელმწიფო წესწყობილების ძირითადი რეფორმების მოხდენაო.

სხდომა შესწყდა და განახლდა ნაშუადღევის 2 საათ. და 20 წუთ. თავჯდომარეობს ვარუნსკრეტი.

შმიაკოვი აღნიშნავს, გლეხთა აზრით, ამ პროექტს დიდი ნაკლი აქვს; საჭიროა, ამბობს ორატორი, რომ რუსეთს გერები აღარ ჰყავდესო. (ტაშის ცემა).

კუზმინი ამბობს, აქ სთქვეს ომიდან დაბრუნებული გლეხობა მოითხოვს საყიდელსაო; ეს წინადადება შეურაცხყოფს ყველა წოდებას. ის მოაგონებს, რომ გვარდიის ცხენოსან აფიცერთა რიცხვი თ ღ აზნაურობის წარმომადგენლებით შევსესო. სამშობლოსთვის სისხლს ყველა ერთნაირად ღვრის. (ხმები: სწორეა). გაუგებარია გალაშქრება, ამბობს ორატორი, თავად-აზნაურების წინააღმდეგ; თვით იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ აღნიშნა ისტორიულ სხდომაზე ის გარემოება, რომ ინიციატივა გლეხთა განთავისუფლების პროექტისა თავადებსავე ეკუთნოდაო. თავად აზნაურთა პრივილეგიები არაფერს არ ნიშნავს, ის არ ეწინააღმდეგება სამშობლოს საერთო ინტერესებსაო

მიხან მეორე მოაგონებს, რომ 55 წლის წინად გლეხები განთავისუფლებულ იქნენ, მაგრამ რუსის მთავრობა კი ჯერაც არა სთვლის მათ სწორუფლებიან მოქალაქეებად. ორატორი საჭიროდ სცნობს მიანიჭონ გლეხებს სრული. მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებანი

ფრიდმანი აღნიშნავს, ებრაელები მუდამ გამონაკლისს შეადგენენ, მათ არავითარ უფლებებს არ ანიჭებენ, რაშიაც ბრალი ედება პროგრესიულ ბლოკს. ებრაელებიო, ამბობს ორატორი, მთელი თავისი არსებით პროტესტს აცხადებენ ასეთი უსამართლობის წინააღმდეგ; ათი წელიწადი გვპირდებოდენ ებრაელთა საკითხის განხილვას და მხოლოდ შარშან აგვისტოში გადადგა ამ გზით მთავრობამ ერთი ნაბიჯი პროგრესიულ ბლოკს კი დღესაც არ სურს ამ გზას დაადგეს.

ჩისტოვის აზრით, გლეხები მხარს უჭერენ ამ პროექტს, მაგრამ იგი არ არის სრული; ზოგი შეზღუდვის მოსპობა კი არა, სრული უფლებრივი გათანასწორება არის საჭიროო. უნდა შემოიღონ სასოფლო სასამართლო და მიწადმფლობელობის რეფორმა აუცილებლად უნდა მოახდინონო.

კარაულოვი საჭიროდ სცნობს 5 მილიონ ყაზახების უფლებრივ შევიწროებისაგან განთავისუფლებას.

მარკოვი მეორე: ნუ იფიქრებთ, ვითომ სიტყვა „უფლებრივი გათანასწორება“ მართლა ათანასწორებდეს ვისმე უფლების მხრით; არა, ეს მხოლოდ გამოლაშქრებაა მათი, ვისაც სურს რუსის ინტელიგენციის ალაგი დაიჭიროს - ებრაელთა ინტელიგენციამ. ორ ვექილს მაკლაკოვს და კერენსკის სურთ გლეხებს უფლებრივი უპირატესობანი წაართვან. ნამდვილად უფლებრივი თანას[illegible] რუსეთში: [illegible] ხებს ანიჭებს ზოგს ისეთ უპირატესობას, რომელსაც მოკლებულია თავად აზნაურობა რაც შეეხება ებრაელებს, რად ჰგონია ფრიდმანს, ვითომ მე მძულდეს ებრაელები. უბედურება იმაშია, რომ ებრაელთა ინტერესები მუდამ ეწინააღმდეგებოდა ჩვენს ინტერესებს. ჩვენ არ გვინდა, რომ ებრაელებმა დაიკავონ ადგილები დაწესებულებებში.

ახტიამოვის სიტყვით, მუსულმანები არ გაუკეთებენ შენიშვნას, ვინაიდან არ უნდათ, რომ მათ დასწამონ ნაციონალური მიდრეკილება.

მიტროფანოვი წინააღმდეგია იმისა, რომ მიანიჭონ გლეხებს ორმაგი უფლება, როგორც სოფლის საზოგადოების წევრისა და როგორც კერძო მიწისმფლობელისა.

დევანიდოვი ამბობს, გლეხები უფრო ფართო უფლებებს მოელიან, ვიდრე პროექტი იძლევაო.

ევსეევი: გლეხებს სჭირიათ ნამდვილი თანასწორობა, რუს მოქალაქის სახელი. (ტაშის ცემა).

მამა პოპოვ მეორე აღნიშნავს სოფლის ყრილობის ნაყოფიერ როლს ოჯახის გაყრის დროს. ილაპარაკეს აგრეთვე მეორედ კარაულოვმა და კერენსკიმ. სხდომა იხურება საღ. 6 საათზე შემდეგი სხდომა შაბათს.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ქუთაისის გუბერნატორი გრაფი გუდოვიჩი ფოთიდან უკვე დაბრუნდა და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

◆ საგუბერნიო მთავრობის აგრონომი ვასილიევსკი ამ ჟამად ქუთაისში იმყოფება.

◆ საავრონომიო სამართველომ თბილისიდან უკვე მიიღო მეურნეობის აღწერილობისათვის ბლანკები. აღწერილობა დაიწყება 15 ივნისიდან.

◆ რადგანაც ხილეულობისა და მწვანილეულობისათვის მთავრობამ ვაგონები რიგს გარეშე მისცა მეხილეებს, ამიტომ ქუთაისის რკინის გზის სადგურიდან დიდძალი ხილი მიაქვთ კავკასიის სხვადასხვა ქალაქში.

კავკასიის რკინის გზის სამართველოს განკარგულებით, საქონლის გამგზავნელებს 3 ივნისიდან ნება ეძლევათ, განუ-

საქართველოს ურთიერთობა ინგლისთან.

ისტორიული ცნობა.

(გაგრძელება იხ. „სამშობ.“ № 375)

სომხეთის ერის სიყვარულითა და სომხეთის აღდგენით გატაცებული იაკობ შახრიმიანი იქამდის აღფრთოვანებული იყო, რომ მან აღარ იცოდა რა უნდა ექნა და საქმისათვის როგორ მოევლო. მისის თაოსნობითა და საფასით 1795 წ. მადრასში სომხური ენაზე დაარსებულ და გამოცემულ იქნა პირველი სომხური გაზეთი სახელდობრ „აზდარარი“, რომლის რედაქტორადაც იმავ ქალაქის სომეხთა ეკლესიის მღვდელი ტერშმოვანი იყო დახმარებას, რასაკვირველია, შახრიმიანი აძლევდა.

შახრიმიანმა იმეცადინა თავის წრეში და სომხეთის აღდგენის გამო იმ დასკვნამდი მივიდა, რომ სომხეთის აღდგენას ყველაზე უფრო ადვილად ქართველთა მეფე მოახერხებსო. ეს აზრი მისმა თანამერჯულეებმაც გაიზიარეს. მალე ამათ მიმართეს ინგლისის მთავრობას და აუწყეს სომხეთის ერის ტანჯვა-წვალება, სომხეთის მოსპობა; აცნობეს ისიც, რომ სომხეთის აღდგენა და მფარველობა ყველაზე ადვილათ ქართველ მეფეს შეეძლება, რადგანაც ქართველები სომხების მეზობლები არიანო. ამ დროს საქართველოში მეფობდა ერეკლე მეფე.

სომხეთის აღდგენით დაინტერესებული პირები უპირველესად შეეცადენ და ხელი შეუწყვეს მეფე ერეკლეს, რომ საქართველო ინგლისის მფარველობის ქვეშ აღიარებია, და შემდეგ იგი სომხეთის მეფედ უნდა გამოეცხადებინათ.

— ამ ხერხითა და ოსტატობით შეიძლება აღვადგინოთ სომხეთის სამეფოო, ფიქრობდენ. რამდენიმე ხნის შემდეგ, მდიდარმა იაკობ შახრიმიანმა მეფე ერეკლეს თამამად წერილი მისწერა, საქართველოში კაცები გამოუგზავნა და მასთან აუწყა თავისი ღრმა პატივისცემა საქართველოს სამეფოს გაძლიერების სიყვარული და ნატვრა.

შორს ქვეყანაში მცხოვრებ კაცისაგან მოწერილი წერილი მეფე ერეკლეს დიდათ ესიამოვნა და ნიშნად სიამოვნებისა დიდი მადლობა მისწერა. ამ გვარად, ამ პირთა შორის გაიბა მეგობრული ქსელი. ამის შემდეგ მათ შორის გაიმართა მიწერ-მოწერა. კაცების გზავნა და მოლაპარაკება მასზე, რომ საქართველო ინგლისის მთავრობის მფარველობის ქვეშ შესულიყო, რაც საქართველოს გაძლიერებას ხელს შეუწყობდა. მეფე ამის თანახმა გახდა თანხმობის გამო მიწერ-მოწერა სწარმოებდა კარგა ხნის განმავლობაში, თითქმის 90 წლის განმამავლობაში. მიწერ-მოწერა შეეხებოდა იმ საკითხის გამორკვევას, თუ რა პირობით უნდა დაკავშირებოდა საქართველო ინგლისს.

ამავე დროს იაკობ შახრიმიანი, შუამდგომლობდა ინგლისის მთავრობის წინაშე და არკვევდა იმ პირობებს, თუ საქართველო ინგლისის სამეფოს რა პირობით უნდა ჩაბარებოდა. საქმე იქამდის მივიდა, რომ მეფე ერეკლე და ინგლისის მთავრობა შეთანხმდენ შეერთების გამო და ამ თანხმობის ცნობა ორივე მხარემ კარგად იცოდა.

ამ შეერთების პირობები ქაღალდზე იწერებოდა და ისე საბუთდებოდა ყველა კითხვა; ამ გვარად, საქართველოსა და ინგლისის სამეფოების პირობის შესახებ პატარა ქაღალდი კი არა, მთელი წიგნი დაწერილი და დაბეჭდილი ინგლისურსა და სომხურ ენაზე. ეს წიგნი ჩვენთვის დიდათ ფრიად საინტერესო არის და ამიტომ მოკლედ მოვიყვანთ აქ იმ ცნობებს, რომელიც მოთხრობილია საქართველოს სამეფოს ინგლისთან შეერთების სურვილის შესახებ.

აი, ეს ცნობებიც:

1) საქართველოს მეფე ერეკლე მეორე თავის სამეფოსა და ერს აღიარებს ინგლისის მფარველობაში. მეფე მოქმედებს აზიის ქვეყნებში ისე, როგორც ამას ინგლისის პოლიტიკა და მისი ინტერესები მოითხოვს;

2) ასეთი ერთგულებისათვის, ინგლისის მთავრობა საქართველოს სამეფოს ამაგრებს და აძლიერებს. ქართველებში ინგლისის მთავრობას შეაქვს ევროპიული სწავლა-განათლება, სწავლის გარეშე აწყობს ევროპიულ წესებს და ცხოვრების პირობებს;

3) შემოაქვს ევროპიული სამხედრო სწავლა-განათლება. აწყობს ქართველთა ლაშქარს ევროპიულად;

4) აკეთებს ჯარისათვის სახლებს, ციხეებს, კოშკებს, აკეთებს გზებს, ხიდებს და სხვა;

5) აძლიერებს საქართველოს სამეფო კანონებს, იჭრება ზომიერათ ფული, ქართველთა ელჩები ინიშნებიან ევროპის ქალაქებში. ასევე თფილისში მოდიან ევროპიელთა კონსულები;

6) კეთდება და ძლიერდება საგზაო ეტლები, მგზავრთათვის არსდება ყარაულები და სხვა;

7) თფილისში და მასთან მთელ საქართველოში იხსნება სხვადასხვა სასწავლებელი ღ მასწავლებლებათ იქნებიან ინგლისელი ნასწავლი კაცები.

8) ქართველთა ჯარს ასწავლიან ინგლისელი ოფიცრები და მთელ საქართველოს სამხედრო ძალას ინგლისელები პატრონობენ და ხელმძღვანელობენ;

9) ქართველთა შვილები მრავლად იგზავნებიან ევროპაში სასწავლებლად.

10) ინგლისის მთავრობა საქართველოს სამეფოს აძლევს ყოველნაირ დახმარებას, ეხმარება ჯარს, სწავლა-განათლების საქმეს, ვაჭრობას, ხელოსნობას, ქარხნების დახსნას და სხვა. რაც ცხადათ მოწმობს ქართველი ერის დაწინაურების ნატვრას, საქართველოს სამეფოს მტკიცედ და შეურყევლად დაცვას და უვნებლად დარჩენას.

ასეთი ცნობები ძალიან ბევრია. დაწერილია მთელი წიგნი. წიგნი საკმარისად ვრცელია და დასტამბულია ინგლისურად და სომხურად. ეს წიგნი მოწონებული ყოფილა ინგლისის მრავრობისაგანაც მოხსენებულია ისიც, და ამას „მისიონერული დღიურებიც“ ასაბუთებს, რომ იაკობ შახრიმიანი მთელ თავის ქონებას და 10 ათას ინდოელ მონას ძღვნად სდებს მისთვის, რომ მეფე ერეკლე საქართველოსა და სომხეთის მეფედ გამოცხადდეს და ბოლოს ამ მეფის დახმარებით სომხეთის სამეფოც დაარსდეს. კავკასიის ასპარეზზე საქართველოს სამეფო, როგორც საქრისტიანო, უნდა გაძლიერდეს და აყვავდეს, რის მეთაურადაც უნდა ჩაითვალოს ინგლისის სამეფო.

იაკობ შახრიმიანს თან მოსდევენ ინდოელი ვაჭრები—სომხები და საქართველოში ხსნიან სხვადასხვა სავაჭროს და ქარხანას. ავრცელებენ ინდოეთ-ინგლისის ვაჭრობას საქართველოში და საქართველოდამ სავაჭრო საქონელი გააქვთ ინგლისში.

შახრიმიანის ინდუსები ამრავლებენ საქართველოში შაქრის ლერწამს და ბოლოს შაქრის დასამზადებელ ქარხნებსაც ხსნიან. ამათის ცდით თფილისში დაარსდა სახელოსნოების წესები და სამუშაო პირობები.

იაკობ შახრიმიანი და მისი ამხანაგები სცდილობენ საერთოდ, რომ ქართველთა შორის გავრცელდეს ევროპის ერთა ყველა ხელობა და მუშაობა. ამას გარდა ხსენებულ წიგნში ბევრი სხვა მასალებია მოყვანილი, რაც ცხად ჰყოფს საქმის სიბეჯითესა და ვითარებას.

ეს პირობების წიგნი, როგორ იქნა მიღებული, მოიწონა იგი თუ არა ორივე მხარემ, ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. ვიცით მხოლოდ მცირეოდენი ცნობა „მისიონერულის დღიურებიდამ“, რასაც აქ მოვიყვანთ.

წიგნის დაბეჭდვის შემდეგ, ერთი ცალი ამ წიგნისა გამოუგზავნეს მეფე ერეკლეს და თან მოსწერეს სხვადასხვა დარიგება და პირობანი. ერთი წიგნი გამოუგზავნეს იმ დროის სომეხთა კათალიკოზს ლუკას ეჩმიაძინში. ისიც ვიცით, რომ ერთი წიგნი გაუგზავნეს რუსეთის იმპერატრიცა ეკატირინა მეორეს და თან აცნობეს საქმის გარემოება და სთხოვეს შემდეგი:

ინგლისის მთავრობამ საჭიროდ დაინახა, რომ კავკასიის ასპარეზზე, ერთი საქრისტიანო საქართველოს სამეფო გაძლიერდეს, აყვავდეს და მის საშუალებით ბოლოს სომხეთის სამეფოც დაარსდეს. ამიტომ ვაახლებთ ამ წიგნს თქვენს იმპერატორებითი დიდებულობას, რომ თქვენ, როგორც ქრისტიან ხელმწიფეს და მასთან საქართველოს სამეფოს მეზობელს, გეუწყოსთ ყველაფერი დაწვრილებით. იმედია, თქვენც, როგორც ქრისტიანი ხელმწიფე, საქართველოს სამეფოს აღორძინების საქმეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩევლად საქონლის ხარისხისა, გაგზავნონ საქონელი.

◆ ქუთ. გუბერნატორმა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის 25 მან. ან ერთი კვირის ციხეში დატუსაღებით დააჯარიმა ადგილობრივ სასტუმროს მოიჯარადრე ისიდორე და ილია გვანცელაძეები.

◆ ქუთ. ქალაქის გამგეობამ ქ ფოთში გაგზავნა განსაკუთრებული პირი პურის ფქვილის საყიდლათ. ეს პირი ამ ჟამათ ფოთიდან იტყობინება, რომ ექვსი ვაგონი ფქვილი უკვე დაიტვირთა და იგზავნებაო. ხვალისათვის კიდევ 4 ვაგ. გამოიგზავნებაო.

◆ ქალაქის სამკითხველო ამჟამათ უკვე იღებს გაზეთ „საქართველოს“.

◆ გენერალმაიორი ლიახოვი დააჯილდოეს მე-4-ე ხარისხის წმინდა გიორგის ჯვრით.

◆ კავკასიის რკინის გზის მართველობის გზათა მართველობასთან შეთანხმებით მოსკოვამდე 6 ივნისიდან დაინიშნება 7-ე და 8-ე №-რი მატარებლები პირდაპირი I-II-III-მე კლასის ვაგონებით III კლ. ვაგონი იქნება ორი.

◆ ბაქოში იმყოფებიან შემდეგი დაავადმყოფებული ჯარის კაცები: გოგიტაშვილი სიმონ ფარსადანის ძე, გორის მაზ. ბოჭორიშვილი ლუკა მაქსიმეს ძე, ქუთაისის მაზ., ელიაშვილი მიხელ ტატოს ძე, გორის მაზ., აფცელაური ნიკოლოზ იოსების ძე, დუშეთის მაზ., ბეკაური მიხეილ ილიას ძე, დუშეთის მაზ., ტაბუკაშვილი ტერენტი ლაზარეს ძე, შორაპნის მაზ., მანუჩეშვილი ნიკოლა დიომიდეს ძე, თფილისიდან, ლომთაძე სოლომონ გიორგის ძე, გორის მაზრა, გოგაშვილი ვასილ ანტონის ძე, ზუგდიდის მაზ.

◆ გუშინ, ქუთ. ქალაქის გამგეობა შეუდგა ომში გაწვეულ ჯარის კაცთა ოჯახებზე დახმარების დარიგებას.

◆ კავკასიის სანოვაგის მომწყობ კომიტეტის რწმუნებული ატყობინებს ქუთ. გუბერნატორს, რომ ქუთაისის გუბერნიისათვის, როგორც სამხედრო, ისე საგზაო სამმართველომ, გადასწყვიტა მიეცეს მხოლოდ 5 მატარებელი თვიურათ. რწმუნებული ამასთანავე იტყობინება, რომ ამ ჟამათ დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა სადგურზე სანოვაგის მისატანათ 6 მატარებელიო.

◆ მეფის მოადგილის კანცელარია სთხოვს ქუთ. გუბერნატორს, შეატყობინოს მისი აზრი სოფლის მამასახლისების ჯამაგირის მიცემის შესახებ და აგრეთვე რამდენს იღებენ გუბერნიაში სასოფლო სამმართველოების მოხელეები.

◆ როგორც ჩვენმა საზოგადოებამ იცის, მთავრობამ პასუხისგებაში მისცა შორაპნის მაზრის უფროსი ლიახოვი, დარაჯთა აფიცერი თ-დი ანდრო (ინიკო) გელოვანი და ბოქაული ბიკტორ ყიფიანი.

ამ ჟამად მეფის მოადგილის კანცელარიის ცნობით, მეფის ნაცვლის საბჭოს ზემო აღნიშნულნი პირნი გაუნთავისუფლებია პასუხისგებიდან და ამის შესახებ უკვე უცნობებია თბილისის ოლქის სასამართლო პალატისათვის.

◆ ჭალის მთის (შორაპნის მაზ.) ქვანახშირის დამმუშავებელმა ინჟინერთა ამხანაგობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ ქვანახშირის ექსპლოატაციისათვის მიეცეს მათ სესხათ უპროცენტოთ საჭირო თანხა.

◆ რადგანაც კვირას, 5 ივნისს, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, საზ. „სინათლის“ საზოგადო კრება არ შესდგა, ამიტომ კრება მეორედ იქნა დანიშნული კვირას, 12 ივნისისათვის.

◆ მამა ბუაჩიძის სახლში გაუქურდავთ ბინა მისი მდგმურის სტ. სოვეტ. პ. პ. მალკინისა, რომელიც ამ ჟამად ომის ასპარეზზე იმყოფება. გაუტანიათ სხვადასხვა ნივთეულობა. ზარალი გამორკვეული არ არის.

◆ ქუთ. ქალაქის თვითმართველობამ თხოვნით მიმართა გუბერნატორს, იშუამდგომლოს კავკასიის სანოვაგის მომწყობ კომიტეტის წინაშე, რომ მიეცეს ქალაქს ქ. მოსკოვიდან სააფთიაქო წამლების მოსატანათ რამდენიმე ვაგონი.

◆ ზუგდიდისა და სენაკის მაზრის უფროსები დეპეშით ატყობინებენ ქუთ. გუბერნატორს, რომ სხვადასხვა საჭიროებისთვის ზუგდიდის მაზრაში შეიძლება ვიშოვოთ 400 ულელი ხარ-კამეჩი და სენაკისაში კი—140 ულელიო.

◆ მეფის მოადგილის კანცელარია სთხოვს ქუთაისის გუბერნატორს, შეატყობინოს, რომ 1912 წ. 20 დეკემ კანონის თანახმათ, თუ რა მდგომარეობაში სანადელო გლეხობის მამულების გამოყიდვის საქმე.

◆ ს. მერევის (შორ. მაზ.) 2 კლ. შკოლის მასწავლებელს გერასიმე გაფრინდაშვილს გუბერნატორმა ნება დართო წაიკითხოს ლექცია „აღზრდაზე“. ლექციას გაფრინდაშვილი წაიკითხავს ბახმაროზე 17 ივნისს, ოზურგეთში 10 აგვისტოს და ლანჩხუთში 25 სექტემბერს.

სოფლათ.

— ტყიბული. შაბათს, 4 მაისს, გლეხი პარმენ ქასრაშვილი მუშაობდა ტყეში პურის ჭამის შემდეგ მას დოქიდგან წყალი დაულევია. წყალის დალევის დროს მან იგრძნო თურმე, რომ კისერში რაღაც დაეტაკა და უცბად დოქი პირიდან მოიხსნა, აღმოჩნდა, რომ დოქში ჩამძვრალიყო მოზდილი წითელი გველი; პარმენ ქასრაშვილი უვნებლათ გადარჩა.

— გლეხი ბესარიონ ჯიშიაშვილი, რომელიც ამას წინად სოფელ მწუხარელადან ბოროტ-გამზრახველებმა გაიტაცეს, მესამე დღეს იპოვეს ჩოლაბურის მდინარეში სვირის მახლობლათ. ეს 75 წლის მოხუცი აღმოჩნდა საშინელი ნაწვალები. თავი თვალებს ზევით ნაჯახით გადაჭრილი ქონდა, ტანი ხანჯლით ჰქონდა დაჭრილი და ტყვიით გული განგმირული ეს საზიზღარი მკვლელობა პირადი ინტერესითაა მომხდარი.

— ტყიბულში 5 ივნისს მოქმედება დაიწყო საამხანაგო დუქანმა. ხალხი დიდის აღტაცებით შეხვდა საამხანაგო დუქნის ვაჭრობას. წევრებმა ნაცვლად 10 მან. 10 შაურისა საწევრო ფული 10—100 მანეთამდი შემოიტანეს. დუქანს აუარებელი მუშტარი აწყდება.

— დ ახალ-სენაკი. 30 მაისს, ღამის 9 საათზე ცეცხლი გაუჩნდა დავით ქვანიას ორ სართულიან სახლს. ცეცხლი მოედო მეორე სახლსაც, სადაც საურთიერთო საზოგადოების ბანკი იყო მოთავსებული. პირველი შენობა ერთიანად განადგურდა. მეორე კი ნახევრათ განადგურებული და დანგრეულია. ქვანიას სახლის ზემოთ სხვა და სხვა დგმური იდგა, ქვედა სართულში მოთავსებული იყო ფოტოგრაფია ქეიშვილისა, თერძი და სხვა. არც ერთს კაპიკის საღირალი არ გამოყოლია. გვერდზე მყოფ სახლში ქვეით, მოთავსებული იყო წიგნის მაღაზია და სტამბა პ დგებუაძისა. გამოუცდელმა ხალხმა და მაროდიორებმა მთელი წიგნის მაღაზიის ქონება ერთიანად გაანადგურეს. დაზარალდა ბანკიც. საერთოდ ზარალი 50,000 მანეთს აღემატება.

რედაქციისაგან.

აჭარის სოფლის იჯარით გაცემის შესახებ.

ჩვენს გაზეთში მოთავსებულმა წერილმა ბ. რაჟდენ დათეშიძის მიერ აჭარის სოფლის ოგანეზ პეტროსიანცისთვის გადაცემის შესახებ საზოგადოებაში მითქმა მოთქმა გამოიწვია.

თვითონ ბ. დათეშიძე ამის შესახებ გაჩუმებულია. ხოლო მას გამოუჩნდენ ზოგიერთი დამცველები, რომელნიც ამბობენ, არაფერი მაგვარი არ ყოფილაო. იმასაც ამბობენ, ვითომ ეს მამული ბ. დათეშიძეს ადრევე ქონდეს გადაცემული ვინმე დეკანოზიშვილისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს თავის მხრით გადაეცეს ოგანეზ პეტროსიანცისთვის. როდესაც რედაქცია ათავსებდა ბ. ბეს. ჯაიანის წერილს, მას უკვე ფაქტიური მხარე საქმისა შემოწმებული ჰქონდა. ვისაც აინტერესებს ამ საქმის ვითარება და არა დაცვა იმ ადამიანისა, რომელმაც, ჩვენის აზრით, ძალიან ცუდი საქმე ჩაიდინა, შეუძლია შებრძანდეს ქუთაისის სახელმწიფო მამულების გამგეობაში, საიდანაც მიიღებს ნამდვილს ცნობას.

24 მაისს ბატ. დათეშიძემ შემდეგი თხოვნით მიმართა სახელმწიფო მამულების მმართველობას: „გთხოვთ მომცეთ ბილეთი №51*) და ნება დამრთოთ ჩემ მიერ იჯარით აღებული მამული „წრია“ ართვინის ოლქში გადავსცე ოგანეზ პეტროსიანცს. ხელს აწერს „რაჟდენ ყარამანის ძე დათეშიძე“.

სახ. მამულების მართველობა შეეკითხა პეტროსიანცს, თანახმა ხართ თუ არა მამული „წრია“ ართ. ოლქში აიღოთ იჯარითაო? სამი დღის შემდეგ ოგანეზ პეტროსიანცისაგან თანხმობის ქაღალდი მოვიდა, და სახ. მამ. მართველობამ დაუყოვნებლივ მისწერა იმ რაიონის „ლესნიჩს“ მამული „წრია“ ჩააბარეთ ოგანეზ პეტროსიანცს იჯარითაო არც დეკანოზიშვილი და არცა რავინ სხვა აქ არაფერ შუაში არ არის. დღეს სახელმწ. მამულების მართველობას ამ სოფლის მოიჯარადრეთ ყავს ოგანეზ პეტროსიანცი. ჩვენ დანამდვილებით გავიგეთ, რომ ეს მამული ძალიან დიდ ფასად ღირს, არა ნაკლებ ოთხმოცი ათასი მანეთისა. და თუ საქველმოქმედო საზოგადოება ეხლავე მიიღებს ზომებს და რაიმე საშუალებით მამულებს თვითონ დაიბრუნებს, რასაკვირველია თუ ეს შესაძლებელი იქნება, ჩვენ ეს უფრო გვაინტერესებს, ვიდრე ბ. დათეშიძის დახასიათება

---

*) ამ ბილეთით ითვლებოდა ბ. დათეშიძე ხსენებული მამულის მოიჯარადრეთ.

„საეჭვო ფურცელი“

ქ. ქუთაისში გამოდის ერთი „საეჭვო ფურცელი“ „Кутаисскія Вѣсти“-ს სახელწოდებით.

ამ „საეჭვო ფურცელს“ ჩვენ გაზეთის სახელს ვერ ვუწოდებთ, რადგან მას ამ სახელის ღირსად არა ვსთვლით.

ეს „საეჭვო ფურცელი“ ხშირად გამოდის სომხების დამცველად და ადმინისტრაციისადმი მაბეზღარად.

თუ როგორ ასრულებს ეს „საეჭვო ფურცელი“ მისგან მითვისებულ პროგრესიულ ორგანოს მოვალეობას, ან ვის ემსახურება—ეს კერძოდ მისი საქმეა. მხოლოდ ჩვენ აღვშფოთდებით ხოლმე მაშინ, როდესაც იგი ქართველ ერს ეხება და მის შინაურ ცხოვრებაში ხელს აფათურებს...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ „საეჭვო ფურცელს“ არავითარი სალი პროგრესიული მიმართულება არ აქვს, და დღიდან თავის გამოსვლისა, იგი [illegible] განმეორებაა რუსეთის [illegible] გაზეთების ტენდენციურ და ყოვლად უსამართლო ცილისწამებისა. „საეჭვო ფურცელი“ ამოჭლეჯს ხოლმე რომელიმე სატახტო გაზეთიდან ქართველების დასამცირებლად მოთავსებულ წერილს, თავის ფურცელზე ვეებერთელა ასოებით დაბეჭდავს და ხშირად თავისებურ ახსნა განმარტებას აძლევს.

მაგალითად, ამას წინად „პროგრესიულ რუსკ სლოვოში“ ვიღაც „ასომ“ მოათავსა წერილი, სადაც ეს ვერცხლით დაბრმავებული ადამიანი ერობის მონაწილე ქართველებს აღმოსავლეთის გმირებს უწოდებს და ყოველგვარ პროგრესიული მიმართულების გარეშე აყენებს.

ჩვენ არ ვიცავთ თავად-აზნაურობის უპირატესობათ, მაგრამ, როდესაც ვიღაც მოსყიდული შეეხება თავად-აზნაურობასთან ერთად ქართველ ერს, მაშინ არ შეგვიძლია ზიზღი არ გამოვუცხადოთ მას და იმ „პროგრესიულ გაზეთს“, რომელიც ასეთ საზიზღარ წერილებს ბეჭდავს.

ვსთქვათ, რუსეთის ზოგიერთი სატახტო გაზეთი თავის გამოსვლას სხვა რაიმე მოსაზრებით ხსნის, მაგრამ საკითხავია: რა უნდა ქუთაისში „საეჭვო ფურცელს“? ვინც კი ამ „საეჭვო ფურცელს“ თვალყურს ადევნებს, უთუოდ შენიშნავდა, რომ იგი ხშირად ილაშქრებს ხოლმე ქართველი საზოგადოების წინააღმდეგ. განსაკუთრებით ამ „საეჭვო ფურცელს“ ძილს უფრთხობს და მოსვენებას არ აძლევს ქართველი ვაჭრების გაძლიერება, რადგანაც იგი უკანასკნელთა გაძლიერება გალონიერებაში „თავისიანების“ საწინააღმდეგო კონკურენციას ხედავს.

რასაკვირველია, ჩვენ ამით ის კი არა გვსურს, რომ ზოგიერთი ვაჭრის ბოროტმოქმედებას ხელი დავაფაროთ, პირიქით, მოხარული ვიქნებით, თუ ასეთი ბოროტმოქმედება გამოაშკარავდება, მაგრამ არ შეგვიძლია ეჭვის თვალით არ შევხედოთ ამ „საეჭვო ფურცელს“ როდესაც იგი მხოლოდ ქართველ ვაჭრებს უსაბუთოდ მოსდგება, მიწასთან ასწორებს და ფრიდონოვ-ჯალალიანც-ეპისკოპოს მესროპსა და ძმათა მათთა საქციელს ივიწყებს და სდუმს...

საერობო თათბირის გამო გამოწვეული ვაკხანალია, რომელსაც „საეჭვო ფურცელი“, (რასაკვირველია, თავის აზრით) დიდ სამსახურს უწევდა და სომხის პლუტოკრატიის დემოკრატობას ჰქადაგებდა, ჩვენ იმ თავიდანვე „ბალღურ“ პოლიტიკად ჩავსთვალეთ და აკი ამიტომაც იყო, რომ იგი არავითარი სერიოზული პასუხის ღირსად არ გაგვიხდია.

რადგან დღეს „საეჭვო ფურცელი“ თავის მოცვეთილი კბილით კვლავ განაგრ-

---

მონაწილეობას მიიღებთ.

ამ წიგნის შესახებ მხოლოდ ეს ვიცით და ის კი არა, თუ იგი როგორ მოიწონა მეფე ერეკლემ, ან სომხეთა კათალიკოზმა, ან რუსეთის იმპერატრიცამ ამის შესახებ არაფერი არ არსებობს. ამას გარდა, თვით ამ წიგნსაც არ ჰქონდა კაი შედეგი. დაბეჭდვის შემდეგ, იგი სადაც ეწყო, შემთხვევით ცეცხლი გაუჩნდა და სულ გადიწვა ისე, რომ ინდოეთში მისი ერთი ცალიც არ დარჩენილა. ისტორიკოს-არქეოლოგმა ალექსანდრე ერიცოვმა მიამბო, რომ ეს წიგნი, რომელიც მე მაქვს, ერთად ერთი ცალი არის და ეს მეფე ერეკლეს ნაქონი წიგნი არისო. ეს წიგნი მას 1840 წლებში უშოვნია ქ. თფილისში ანჩხატის უბანში. სომხეთა კათალიკოზის ნაქონი წიგნი დაიკარგა, იგი ეჩმიაძინის სამკითხველოსა და არქივში ვერ ვიპოვნეთო. ასევე ვერ ვიპოვნეთ ეკატერინა იმპერატრიცასთან გაგზავნილი ეგზემპლიარიო.

ამ იშვიათი წიგნის გამო, მანვე მიამბო შემდეგი, რაც მათს ოჯახში ანდერძათ ყოფილა დატოვებული:

ვსთქვათ, შემთხვევით, ოჯახის წევრნი სხვაგან წავიდნენ სტუმრად და ამ დროს, შემთხვევით მათს სახლს ცეცხლი გაუჩნდა. მოხდა ისიც, რომ ამ უბედურების ამბავი სტუმრად წასულებს შეატყობინეს და ესენი მალე სახლში მოცვივდენ ნივთების გადასარჩენად. იგინი ვალდებულნი არიან, რომ ყველაზე წინად ეს წიგნი უნდა გაიტანონ და შემდეგ სხვანი, თუგინდ ნივთებს გარდა, ოთახში ყმაწვილებიც კი იყვნენო.

ასე სასტიკათ უვლიდა ამ წიგნს ეს პატივცემული ისტორიკოს არქეოლოგი, ვინაიდგან, როგორც თვით გადმომცა, ეს წიგნი არის ერთად-ერთი ცალი, რომელიც გადარჩა და ჩვენამდის მოაღწიაო. ამ წიგნის მეტი ცალი არ-კ ინდოეთში მოიპოვება, არც ინგლისის არქივებში და არც სხვაგანაო. ფიქრი არის, რომ ეს წიგნი დამბეჭდავებს არსად გაუგზავნიათ, ვინ იცის, იქნება ეს იმ დროის პოლიტიკის საიდუმლოებაც იყოვო.

დღეს ეს წიგნი დაცულ უნდა იქნეს ეჩმიაძინის სამკითხველოში, რადგანაც ისტორიკოსის გარდაცვალების შემდეგ, მისი წიგნები მთლად ეჩმიაძინის სინოდმა შეისყიდა განსვენებულის მეუღლისაგან. იმედია, ქართველი სომხები ამ წიგნს მოსძებნიან და სთარგმნიან ქართულ ენაზე. აქ ამ წიგნის ბიბლიოგრაფიულ ცნობას მომავალს ვუტოვებთ და ისევ შეერთების ამბებს მოვიყვანთ:

საქართველოს ინგლისთან დაკავშირება მრავალს სასიხარულოდ დარჩა და ნამეტურ სომხებს, რომელთაც კარგად შეიტყეს ის ამბავი, რომ საქართველოს მეფის ერეკლეს დახმარებით, ბოლოს სომხეთის ამეფოც აღსდგებაო. სწორედ ეს გარემოება იყო მის მიზეზათ გამხდარი, რომ 1760 წლებს შემდეგ, საქართველოში მრავლად იწყო გადმოსახლება სხვადასხვა მდიდარმა სომეხმა. ამ მდიდარ სომეხთა გადასახლების მიზეზებსაც დავასახელებთ, რომ ეს შემდეგისათვის არ დაიკარგოს. იქნება ამ ცნობილ ზოგიერთებმა ენა მოიკვნიტონ საქართველოს ნაწილების ჩამოჭრის შესახებ.

აღმოსავლეთის ქვეყნებში სომხები თავიანთ სიმდიდრეს სულ ვერ აჩენდენ, მალავდენ, მუსულმანების ეშინოდათ. უკანასკნელნი იკითხავდენ შეძენის ამბავს, და მერე წაართმევდენ. ამიტომაც მდიდარ სომხებში გავრცელებული იყო საქართველოს ამბები და სომხეთა მდიდრები ხშირად მორბოდენ საქართველოში, რათა აქ გამოეჩინათ თავისი შეძლება. ამის მაგალითსაც მოგახსენებთ:

აღმოსავლეთში, სპარსეთისაკენ ცხოვრებდა ერთი მდიდარი სომეხი სახელად მატუნი. ამ კაცს თავის ცხოვრება ვერ გამოეჩინა, ეშინოდა წართმევის და, ასე გასინჯეთ, რომ ტანზეც-კი ვერ იცვამდა ტანსაცმელს. ერთხელ ამ მდიდარმა თავის სახლის მღვდელს შესჩივლა თავის დარდი და ჰკითხა დარიგება. მღვდელმა მოისმინა და შემდეგი უთხრა:

— ჩვენს იქით ვერიაც, ზემოთ, ვითომ სომხურად მიტომ ეწოდება საქართველოს ვრასტანი, რომ ეს ნიშნავს ზემოურთ, სომხურათ ზემოურს ვერიაცს ეტყვიან ეს ზემოური ხალხი ვრაცი — ქართველი, ქრისტიანი, კეთილი ხალხია. ამ ხალხს ყავს თავისი კეთილი, ქრისტიანი მეფე, რომელსაც ერეკლეს უწოდებენ.

შენ გადასახლდი იმ ვრასტანში, მიიღე მეფე ერეკლეს მფარველობა და იქ გამოიჩინე შენი სიმდიდრე. მატუნს მიუღია მოძღვრის დარიგება და შესდგომია საქართველოში გადმოსახლების სამზადისს. რამდენიმე ხნის შემდეგ წამოსულა. ამ სომეხს ბევრი თხა ჰყოლია, თან წამოუსხამს და რამდენიმე ხნის შემდეგ მოსულა საქართველოში. თფილისში დასახლებულა და დაუწყვია ალებ მიცემობა და ცხოვრება.

ამ დროებში მომხდარა შემდეგი შემთხვევა: მეფე ერეკლეს კარზე მოსულა რუსეთიდამ ერთი რუსის გენერალი, რომელსაც თან ჯარი მოუყვანია და ერეკლე მეფისათვის რომელიღაც გალაშქრებაში დახმარება მიუცია. გალაშქრების შემდეგ რუსის ჯარს მეფე ერეკლემ, რუსეთში დაბრუნების წინეთ, ნადიმი გაუმართა და ერთ ალაგას ჯარის კაცნი დიდათ აქეფებს თურმე. ამ დროს, სომეხ მდიდარ ამატუნიმ ისარგებლა და სომხის მღვდლების ჩაგონებით, მეფე ერეკლეს რუსის ჯარის ნადიმზე და, ქრისტიანულის წესით პატივი სცა, თან მოახსენა, თქვენ ჩვენი—სომეეთა-ქრისტიანი მეფე მამა ბრძანდებით, მე თქვენს კალთას შემოვაფარე თავი და დღეს მე თქვენს ყმათ ვითვლები, მასთანვე ჩემს თავს ნებას ვაძლევ, რომ ნიშნად თქვენის ღრმა პატივისცემისა, რაც სომხის ერშია მოზღვავებული ძღვენი მირთვათ, რათა ამით პატივი სცეთ რუსეთის ჯარს და უკეთ გაუმასპინძლდეთ წასვლის დროს.

მეფემ მოისმინა ყველაფერი, სახელი და ვინაობა ჰკითხა. ამატუნმა მოახსენა ყველაფერი დაწვრილებით. მეფემ ნება დართო ძღვნის მირთმევისა. მერე, ანუ რუსეთის ჯარის წასვლის ცოტა წინეთ, მეფეს ეახლა სომეხი ამატუნი და მიართვა ძღვენი. ეს ძღვენი გადაიდვა რუსეთის მხედრობის მისართმევად და გზაში თან საგძლათ წასაღებათ. მეფე ერეკლემ მადლობა უთხრა სომეხ მატუნს და პატივისცემისა და ძღვნის ნიშნად შემდეგი მიუგო:

— ძღვნისა და პატივისცემისათვის მადლობელი ვარ, ეხლა მეც მსურს, შენს პატივისცემას სამაგიერო რით გადავუხადო? ჰკითხა მეფემ.

იქ ყოფილან იმ დროს ქალაქის მოქალაქე ქევხა კაცები და სომხის სამღვდელოებაც, ამათ ურჩევიათ ამატუნისათვის, რომ ახლა კარგი დრო არის, მეფე რუსის ჯარისაგან ნასიამოვნებია, ისარგებლე ამით, სთხოვე მეფეს ქვეშევრდომობა, რომ საქართველოში ქვეშევრდომათ მიგიღოს და მასთან შენი ნახირის საძოვრად ცოტა ადგილებიც გაჩუქოსო. ამატუნს მიუღია თანამერჯულე სომხთა დარიგება და მეფისათვის მოუხსენებია თავის სურვილი, მეფემ გულ-მოწყალებით შეხედა ამის თხოვნას და მაშინათვე ებრძანებია მთხოვნელის ქვეშევრდომობა და მასთანვე საძოვარ ადგილებათ მიუცია ჰირიანი ხევიდამ დაწყობილი მთელი ის ადგილები, რაც დღეს ამ სომხის შთამომავალთა მემკვიდრე სიძეებს ნადიროვსა და დოლუხანოვს უკავიათ. ეს ამბავი აქ მიტომ მოვიყვანეთ, რომ ვიცოდეთ, თუ ერეკლე მეფე როგორ სწყალობდა სომხებს, როგორ აბედნიერებდა მათ და დღეს კი იმ სომხეთა შთამომავალი ნადიროვი და დოლუხანოვი როგორ მტრობენ ქართველ ხალხს, როგორ სდევნიან და როგორ უმწარებენ დღეს მცხოვრებთ, რადგანაც ესენი ქართველნი არიან.

დღეს, ამათ დაჩემებულ ადგილებზე სცხოვრობს 500 მეტი კომლი ქართველი მუშა და ხელოსანი ხალხი, ამათ აქვს გაკეთებული სახლ კარი და ზოგს ბანკშიც კი აქვსთ სახლები დაგირავებული. ამ დროს ნადიროვი და მისი ქვისლი ედავებიან ამ ქართველ მუშებს ადგილებს და აყრას უპირებენ მხოლოდ მიტომ, რომ იგინი ქართველები არიან. თან აი რას ეუბნებიან:

— აქ თქვენი ბინა არ არის, აქ ბეჟენცები უნდა დავასახლოთ, ამიტომ არა ვყიდით თქვენზე. აი, ასე იხდიან ჩვენი მტერ მოყვარენი მეფე ერეკლეს პურმარილისა და სიკეთის სამაგიეროს, ასე გვეპყრობიან და ქართველებს სინსილას უწყვეტენ იმ მამულებზე, რომელიც ქართველთა სისხლით არის მორწყული. საჭიროა, რომ ეს გარემოება ჩვენმა მეზობლებმა შეიტყონ და ჩვენს მუქარებს, დევნას, აყრას და აწიოკებას თავი გაანებონ, თორემ იქნება ჩვენის დევნით ბოლოს თვითვე ინანონ.

ზ. ჯ.

(შემდეგი იქნება).

ძობს ქართველების კბენას და ეს „კბენა“ ყოვლად უსაფუძვლო და უმართებულოა, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამ „საეჭვო ფურცელს“ ასეთი შეკითხვა მივცსეთ: რა გსურთ, ვაჟბატონებო, რომ ასე უსირცხვილოდ ურევთ ქართველი საზოგადოების საქმეეებში ხელს? იქნებ გული შეგტკივათ? არა, ბატონებო; ვიცით თქვენი სულისკვეთება და უმჯობესი იქნება თქვენთვის პირად გულის თქმას თავი დაანებოთ, როცა ქართველი ერის ცხოვრებას ეხებით.

ქართველმა ერმა ბევრი დაწიხვლა გადაიტანა და ყველას ღირსეულად მიუგებს.

დროა, შესწყვიტოთ ძველი ნაცადი გზით სიარული და მეგობრული კავშირის განმტკიცებას ხელი შეუწყოდ ამ ორ მეზობელ ერის შორის, თუ თქვენ მართლა საკაცობრიო იდეალი გახელმძღვანელებთ.

ი. იმერელი.

ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგია.

იოვანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით.

ე.

ებანი, лира.
ეთერი, эфиръ.
ენაკეთილობა, словоснесть.
ერთად შედგომა, составъ
ერთბაშად, ერთად, вмѣстѣ.
ერთგანობა, ერთად ყოფნა, შეერთება, соединеніе, совмѣстность, совмѣщеніе.
ერთმთავრობითი, одноначальный.
ერთმყოფი, единый.
ერთტომი, однородный.
ერმაული, ნაპოვნი, находка.
ერცახე, немного.
ესევითარი, подобный этому.
ესეზომ, столькій.
ესერაბამი, ამოდენა, стольвеликій
ექვსყური, шестиугольникъ.
ექსორია, განდევნა, изгнаніе, исключеніе.
ეშვი, ტახი, кабанъ.
ეშმაკი, сатана, демонъ.
ეძიებს, изслѣдуетъ.

ვ.

ველის ზედაჲ, ზედაპირი, площадь поверхность; უმჯობესია: „площадь“-ს ვუწოდოთ **ვაკეობა**.
ვერმითხუევა, неудача.
ვერშემძლებლობა; неспособность.
ვიგონებოთ, уразумѣемъ
ვიეთი, ზოგი. нѣкоторый.
ვნება, страсть.
ვნებაჲ სულისა, состояніе души.
ვნებული, страстный.
ვრონხოჲ, ბრონხი, бронхъ.

ზ.

ზედაკერძო, верхняя часть.
ზედაყვანება, устремленіе вверхъ: აქედან ზედაყვანებული.
ზედმიწევნებაჲ, ზედმიწევნულებაჲ, ცოდნა, ხელოვნება, знаніе, искусство.
ზესაღუაწი, საზღაური, ჯილდო, награда.
ზედსაჩინოჲ, ზედაპირი, поверхность.
ზედშემოსრული, привходящій, извнѣ введенный.
ზედშემთხუევად, случайно.
ზედშემომხდომი, შევთხვევა, приключеніе.
ზეკიდებითი, напряженный.
ზემიწევნილობითი, познающій.
ზემო, верхній.
ზემოთქმული. вышесказанный.
ზენაჲ, высшій.
ზესთაღმავალი, აღმავალი, აღმატებული, восходящій, превосходящій.
ზეშთა, внѣ, выше, надъ.
ზეშთამდებარე ძალნი, высшія силы.
ზიარება, общность.
ზმულნი, морскіе полины.
ზომიერყოფა, умѣрять.
ზრახვაჲ, обсуждать, желать, желаніе, воля.
ზროხა, ზოგადი სახელი ხარისა და ფურისა, домашній крупный рогатый скотъ.
ზრუნვაჲ, მოუსვენრობა, მზრუნველობა, безпокойство, озабоченность, забота.
ზრქელი, толстый, грубый, აქედან: უზრქე, უზრქესი, толще, грубѣе.
ზრქელტყავი (ცხოველი), толстокожее (животное).
ზუავი, გარეშემცველობა, обвалъ, объемъ. სიტყვას „объемъ“-ს შეეფერება ახლა უფრო გარეშემცველობა, ვიდრე ზუავი.
ზუაობა, გულდიდობა, тщеславіе.

ვასილ წერეთელი

დავეხმაროთ ებრაელებს.

(„წერილი საჩხერიდან“)

ქართველი ხალხი ცნობილია როგორც შემბრალე. მის გულში მტრობას ადგილი არ ქონია.. ის ყოველთვის მზათ ყოფილა ნუგეშის ხელი გაეწოდებინა გაჭირვებაში მყოფ ძმისთვის... და ეს მის დადებით მხარეთ ჩაითვლება.

როგორც გაზეთებიდან ვიცით, 23 მაისს საჩხერის საებრაელო ნაწილში საშინელი ცეცხლი გაჩნდა. ებრაელთა საუბედუროთ, ქარიც ხელს უწყობდა ცეცხლის გაძლიერებას და თანდათან ცეცხლის საშინელ ალში გაეხვია 200-დე ებრაელთა სახლი... როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ ხანს ებრაელებს შეშინებიათ და ეს შიში ყოფილა უფრო მეტი მიზეზი იმის, რომ ცეცხლი ვერ ჩაექროთ... ხალხი ისე დამფთრხალა, რომ თავის შველას ვერ ასწრებდა.. საშველათ კი თვით საჩხერის მცხოვრები ვერ მიშველებიან, ვინაიდან ცეცხლის გადმოსვლას თვით საჩხერის ბაზარში ელოდენ (ებრაელების უბანი საჩხერის შუაგულ ბაზარზე დაშორებულია ნახევარი ვერსით) ბაზარში მედუქნეებისა და მაღაზიების პატრონები თავისი დუქნის დაცლას შესდგომოდენ. ამიტომ მეტი წილი საჩხერის მცხოვრებისა თვით საჩხერეში იყო ჩართული საქმეში და არავის ეცალა მიშველებოდა განაპირა, მეზობელ ებრაელებს რომელთა სახლებსა და ქონებასაც ცეცხლი სპობდა...

ებრაელთა ერთადერთ მშველელად ისევ სოფლის ხალხი ყოფილა.. მაგრამ სამწუხაროთ, ზოგიერთა პირს თავისი ფანატიკოსობა ვერ შეუკავებია და თავი უჩენია ებრაელებისადმი შურს... სოფლელთა უმეტესობა, მითხრა ერთმა ებრაელმა, რასაც კი ცეცხლს გადაარჩენდა, იმის მაგიერ რომ პატრონისთვის შეენახა, იღლიაში იდებდა და სახლისკენ მიქონდაო.

რასაკვირველია, ამ ფრიად სამარცხვინო გარემოებისათვის ჯეროვანი ყურადღება მიექცა საჩხერის ადმინისტრაციას და ზოგიერთი ბოროტმოქმედი დაეპატიმრებია...

მაგრამ ასე იყო, თუ ისე, ცეცხლმა საშინელი შედეგი მოიტანა .. 200-დე ოჯახი ღვთის ამარა დარჩა. მთელი იმათი საცხოვრებელი:—სახლი, დგამი, ავეჯეულობა, ტანისამოსი, ლოგინი, ჭურჭელი და საქონელი ცეცხლმა შთანთქა. ძლიერ ცოტას გადარჩენა მოახერხეს. და დღეს 200 ოჯახი ებრაელთა თვალცრემლიანი შეჰყურებს ზეცას და „მადლობა ღმერთს“ იძახის. ძლიერ გულ ქვა უნდა იყოს ადამიანი, რომ იმათი გაჭირვება დაინახოს, და თვალს ცრემლები არ მოადგეს.

მე დავინახე ყველა ეს. მე ვისმინე ჩემი ყურით ის გმინვა და ოხვრა, რომელსაც დღეს საჩხერის ებრაელები განიცდიან და ჩემს თავს ვეუბნები:—ძმა ძმისთვისა, შავი დღისთვისა.“

ქართველებს ხომ ისტორიულად ძვალსა და რბილში გვაქვს ეს მცნება და ეხლა ჩვენი მოვალეობაა დავეხმაროთ გასაჭირში ჩავარდნილს ებრაელნეს.

კარგს ინებებენ ბ. ბ-ნი წერეთლები, რომელნიც საჩხერეში ავტორიტეტებათ ითვლებიან, რომ იმათი ინიციატივით დახმარება აღმოეჩინოს გადამწვარ ებრაელებს.

ეს მით უფრო ადვილი მოსახერხებელია წერეთლებისათვის, რომ საჩხერის დღევანდელი თეატრის მართვა-გამგეობა იმათ ხელშია და იმათვის, მგონი, არც ისე საძნელო იქნება რამდენიმე წარმოდგენის გამართვა გაჭივრებულ ებრაელთა სასარგებლოთ.

თუ მათ სასარგებლოთ წარმოდგენა გაიმართება, მაშინ ყველა საჩხერელის ვალია, თავისი წვლილი მიიტანოს.

აგრეთვე არ იქნება ცუდი დახმარება აღმოუჩინოს ყველა შეძლებულმა პირმა. ყველა თითოეულმა ქველმოქმედმა, რომელიც თავის წვლილს გაიმეტებს ამ დიდი საქმისთვის, უნდა იცოდეს, რომ ის ეწევა ისეთ გაჭივრებულთ, რომელნიც ცის ქვეშ ათენ-აღამებენ და მაინც „მადლობა ღმერთს“ იძახიან.

მ. საირხელი.

ქართველი ინტელიგენცია.

ერის კულტურული განვითარება ინტელიგენციით გაიზომება. ერის ტონის მიმცემი ინტელიგენცია არის ის ერი, რომელსაც სრულიად ინტელიგენცია არა ჰყავს პირველყოფილ მდგომარეობაში იმყოფება. საბედნიეროდ ჩვენდა, ქართველი ერი მდიდარი იყო ინტელიგენციით ამ ინტელიგენციის წყალობით არის, რომ მან საპატიო ადგილი მოიპოვა ერთა შორის. თავისუფლების დაკარგვამდის ქართველი ინტელიგენციის მოვალეობა უფრო მარტივი იყო. თავისუფლების მოსპობის შემდეგ მისი მისია გართულდა. ქართველ ინტელიგენციას დღეს ათასგვარი მოვალეობა აწევს კისერზე. გონებით წინ წაწეულმა ჩვენმა ერმა, ყალბი განათლების მეოხებით, ქართული ელფერი დაკარგა და გადაგვარების გზაზე შესდგა ფეხი. ის ტკბილი ენა, რომელზეც „თამარ ბრწყინვალე“ ბრძანებასა სცემდა“, შინაურობისაგან მივიწყებულია და გარეულებისაგან აბუჩად არის აგდებული. თვით ხალხი, საერთო სამშობლოში, სწორუფლებიანობას მოკლებულია

მოწინავე ჩვენი წოდება ადგილმამულს ფლანგავს და ხშირათ, ორიოდე გროშის მომატების გულისათვის, უცხოელებს უგდებს ხელში ამ რთულსა და სამწუხარო მდგომარეობაში მყოფს ჩვენს ერს ვინ უნდა გაუკაფოს გზა, თუ არა ჩვენმა ინტელიგენციამ? დიახ, იგია ჩვენი ერის მხსნელი, ჩვენი მოსე წინასწარმეტყველი. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ქართველი ინტელიგენცია დღეს ერთმანეთში დაობს და ერთ მთლიან ერთეულს აღარ წარმოადგენს. სოციალურ კითხვებს რომ თავი დავანებოთ, პირდაპირ არსებით სადღეისო კითხვებშიაც ვერ შეთანხმებულან.

დროა, ართველმა ინტელიგენციამ საწყალს, საუკუნოებით ნაწრთობ-ნაწვალებსა ჩ გულკეთილ ქართველ ერს მიხედოს და მის საკეთილდღეოთ დადებითი მუშაობისათვის ერთმანეთს ხელი მისცენ.—

მ. ბუაჩიძე.

რუსეთი.

— —

ხარკოვის პედაგოგიურ ყრილობაზე 3 ივნისს, სხვათა შორის, ილაპარაკეს დიპლომების გაუქმებაზე. უმეტესობა დიპლომების გაუქმების მომხრე იყო, მხოლოდ უმცირესობა მოითხოვდა ატესტატების შემოღებას უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. სკოლის გარეშე მოწაფეთა ცხოვრების თვალყურის დევნა, პედაგოგთა ყრილობამ უარჰყო.

— —

განათლების სამინისტრომ ცირკულიარი გამოსცა, გაანთავისუფლონ ის სასწავლებლები, სადაც ამ ჟამათ სამხედრ ლაზარეთებია მოთავსებული.

— —

ამ ჟამად მოსკოვის სამხედრო სასამართლო არჩევს მოსკოვის ქალაქის უფროსად ნამყოფის გენერალ ადრიანოვის საქმეს. მას ბრალდება „მაისის უწესოების“ დროს უმოქმედობა.

— —

სასანიტარო და საევაკუციო ნაწილის მთავარი სამმართველო აცხადებს, რომ ის სამხედრო ტყვეები, თუ სხვა მუშები, რომელნიც ამა თუ იმ საწარმოვო საქმეში მუშაობენ, ჯანმრთელობისა და ყქიმობის მხრივ ამ საწარმოვო საქმის მეპატრონის მხრით უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნიო.

— —

პეტროგრადში მფრინავი ჰოსპიტალი მოაწყვეს

— —

მოსკოვის სოლქო სასამართლოში დაიწყო ჟურნალისტ ვ. კორალენკოს საქმის გარჩევა. კორალენკოს ბრალდება „რუს. ვედ“ ფურცლებზე წერილების მოთავსება, რომელ წერილებშიც იგი მთავრობის დაწესებულებებსა და სხვადასხვა მოხელეს ბოროტმოქმედებას აბრალებდა. კორალენკოსთან ერთად სასამართლოში მიცემულია გაზედ „რუსკ. ვედ.“ რედაქტორი და სამი თანამშრომელი.

— —

მოსკოვში ახალ სამხედრო სესხს 200 მილიონი მანეთი მიუცია.

— —

სადგურ ჩიტახთან ყაზანის რკინის გზაზე მიმავალი ორთქლმავალი დაეჯახა საქონლის მატარებელს და დაიმსხვრა. ორი მოსამსახურე სასიკვდილოთ დაშავდა.

— —

რუსეთის უხუცესთა საბჭომ დაადგინა ხშირად იმართებოდეს სათათბიროს სხდომები, მოწვეულ იქნას ნაციონალისტთა განსაკუთრებული ყრილობები და მიღებულ იქნას ზომები რუსეთში სხვადასხვა ეროვნების ჩაგვრის გასაუქმებლად.

— —

შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრად აქვს ებრაელთა საკითხი ხელახლად წარადგინოს განსახილველად.

უცხოეთი.

2 ივნისს, ინგლისის ზედა პალატაში პრემიერმინისტრმა ასკვიტმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, სადაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისის საიმპერიო წესწყობილება უთუოდ უნდა შეიცვალოსო. ასკვიტი მოითხოვს თვითმართველობებს არა მარტო ირლანდიისათვის, არამედ ინდოეთისა და სხვა ყველა ახალშენისთვის.

— —

საფრანგეთის პალატაში დახურული სხდომები დაიწყო.

— —

ინგლისში გადაუწყვეტიათ სამხედრო სამინისტროს ფუნქცია შეიარაღების სამინისტროს შეუერთონ.

— —

ამსტერდამში სოციალდემოკრატთა ინტერნაციონალს დიდი ყრილობა ჰქონდა. დაუარსებიათ სხვა და სხვა საჭირო ფონდი და დამხმარე კასები.

— —

გერმანიაში მუშა ქალებისთვის დააწესეს 11 საათის სამუშაო დღე.

— —

ჰოლანდიაში აუწერელი სიძვირეა ბრბო ქუჩებში დადის და მაღაზიების ფანჯრებს ლეწავს.

— —

როგორც „მატენი“ იუწყება, იტალიის ახალ მინისტრპრეზიდენტს ბოზელის პორთფელი არ ეხება. სან[illegible] მინისტრობაზე უარი განუცხადებია, რადგან სპასუხისმგებლო სამინისტროს წინააღმდეგია.

— —

„რუსკ. სლოვო“-ს ცნობით, ამას წინად ლიტვაში მომხდარა ლიტვის საზოგადო მოღვაწეთა ყრილობა. ყრილობას დაუდგენია საერთო ორგანიზაციის შექმნა ლიტვის დამოუკიდებლობის აღსადგენათ. გერმანელები ლიტვას დამოუკიდებლობას ჰპირდებიან.

— —

ამერიკის სოციალდემოკრატებმა რესპუბლიკის პრეზიდენტად ისევ ვილსონი დაასახელეს.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**“



რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.			
თფილისიდან	— დილის —	8 ს.	5 წ
„	— საღამ. —	8 ს.	55 „
ბათომიდან	— დღისით	12 ს.	45 „
„	— ღამის —	2 ს.	25 „
ფოთიდან	— დილის -	10 ს.	31 „
ტყიბულიდან	— საღამოს —	6 ს.	55 „
შორაპნიდან	— დილის —	9 ს	24 „
ქ. ქუთაისიდან გადის			
თფილისისაკენ	— დილის —	11 ს.	5 „
„	— ღამის —	12 ს.	30 „
ბათომისაკენ	— საღამოს —	7 ს.	10 „
„	— დილის —	6 ს.	— „
ფოთისაკენ	— დღისით —	4 ს.	13 „
ტყიბულისკენ	— დილის —	5 ს.	25 „
შორაპნისაკენ	— დღით —	6 ს.	25 „

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილის უნდა მოიქცენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ. გლეზისა.

გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის. **გრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ—სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და აჩახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრნული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **ა. შავერზაშვლს** სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ვრთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღის ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული**. ქ. ოდესა.